პატივი ეცი შენს სამინისტროს;
თავი შეიკავე, თუ მცირედი ეჭვიც კი შენს ქმედებას ხდის გაურკვეველს;
ანგარიში გაუწიე სიმართლეს;
იმოქმედე წინდახედულად;
შეისწავლე გატაცებით;
დაეკითხე ღირსებას;
იხელმძღვანელე სამართლიანობით;
შემოიფარგლე კანონით;
იმუშავე ღირსეულად;
გახსოვდეს, რომ
შენი მისია მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს შორის არ იყოს დავა.

საქართველოს ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსი

ჩვენ, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრი ნოტარიუსები
– ვაცნობიერებთ რა ნოტარიუსის პროფესიის დანიშნულებასა და მნიშვნელოვან როლს სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში,
– ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს ნორმატიული აქტების მოთხოვნების, ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესების განუხრელი დაცვის პრინციპებით,
– მოვალენი ვართ რა ვაწარმოოთ ჩვენი პროფესიული საქმიანობა მაღალ მორალურ-ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით,
– ვაცხადებთ რა პატივისცემას საქართველოში ნოტარიატის ინსტიტუტის ტრადიციებისადმი და ამავდროულად,
– გამოვხატავთ რა სრულ მხარდაჭერასა და ერთგულებას ლათინური ნოტარიატის ფუნდამენტური პრინციპებისადმი,

ვაცხადებთ ამ კოდექსს:

თავი I
ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსი (შემდგომ ტექსტში – „კოდექსი“) განსაზღვრავს ნოტარიუსის პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს, ქცევის მორალურ-ეთიკურ სტანდარტებს, რომლითაც ნოტარიუსმა უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო ორგანოებთან, ნოტარიუსთა პალატასთან, კოლეგებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, ადგენს ნოტარიუსზე მორალური ზემოქმედებისა და ნოტარიუსის წახალისების მექანიზმებს.

1.2. კოდექსის ნორმები სავალდებულოა ნოტარიუსებისათვის და ნოტარიუსების შემცვლელი პირებისათვის.

1.3. წინამდებარე კოდექსის მიზანია პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტის დადგენა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან საქართველოს ნოტარიატისადმი ნდობის განმტკიცება, ნოტარიუსის პროფესიის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა.

1.4. ეთიკის ნორმის დარღვევა კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით იწვევს ნოტარიუსის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

1.5. ამ კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევის ფაქტებს განიხილავს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დისციპლინური კომისია, რომელიც დარღვევის დადასტურების შემთხვევაში მიმართავს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობას დამრღვევი ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების რეკომენდაციით.

თავი II
ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

2.1. ნოტარიუსი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღჭურვილია საჯარო უფლებამოსილებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მის მიერ მიღებული აქტების ნამდვილობა (ავთენტურობა) და შენახვა, სანოტარო აქტებისათვის უდავოობისა და მტკიცებითი ძალის მინიჭება.

2.2. პროფესიულ საქმიანობაში ნოტარიუსი არის კანონის, ნოტარიუსთა პალატის წესდებისა და გადაწყვეტილებების, მის მიერ დადებული ფიცისა და ამ კოდექსით განმტკიცებული მორალურ-ეთიკური ნორმების, ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის ფუნდამენტური პრინციპების ერთგული, სანოტარო მოქმედების შესრულებისას – კანონიერებისა და სამართლის უზენაესობის გარანტი.

2.3. ნოტარიუსი მოწოდებულია დაიცვას მოქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლებრივი უსაფრთხოების სისტემის შექმნას, საზოგადოებაში კანონმორჩილებისა და სამართლიანობის განმტკიცებას.

2.4. პროფესიული დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ის ფუნდამენტური საფუძვლებია, რასაც ნოტარიატის ინსტიტუტი ემყარება. ნოტარიუსი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი. იგი ვალდებულია იყოს თავისუფალი და არ მოექცეს არანაირი ზემოქმედების, თავისი პირადი ინტერესებისა და გარეშე ზეწოლის ქვეშ.

2.5. ნოტარიუსი ვალდებულია გაუფრთხილდეს თავის პირად და ზოგადად ნოტარიატის პრესტიჟს, არ დაუშვას ნოტარიუსის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი ქცევა და პროფესიული კრიტერიუმების შებღალვა კლიენტის, მესამე პირებისა თუ ადმინისტრაციული ორგანოების თვალში.

2.6. პროფესიული საიდუმლოების არსებობა და მისი დაცვა ნოტარიუსის უპირველესი უფლება და ვალდებულებაა. ნოტარიუსი უზრუნველყოფს კლიენტის შესახებ ნებისმიერი სახის (პირადი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი) ინფორმაციის დაცვას გამხელისაგან, რაც მისთვის, აგრეთვე მისი სანოტარო ბიუროს თანამშრომლებისათვის ცნობილი გახდა თავიანთი

პროფესიული ფუნქციის აღსრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.

2.7. ნოტარიუსი ღირსებითა და თავაზიანად უნდა ეპყრობოდეს სანოტარო მოქმედების შესრულებაში მონაწილე პირს. ნოტარიუსი უნდა იყოს ყურადღებიანი, გულისხმიერი და კორექტული მოქალაქის მიმართ.

2.8. ნოტარიუსი სისტემატურად უნდა ზრუნავდეს თავისი პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლებისათვის, აგრეთვე თვალყურს ადევნებდეს და ხელს უწყობდეს თავისი თანამშრომლების მომზადებისა და მომსახურების კულტურის სრულყოფას. ნოტარიუსის მაღალი კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის მიერ კლიენტის, სახელმწიფოსა და საზოგადოების უკეთ მომსახურებას, სამართლებრივი უსაფრთხოების მეტ გარანტიას.

2.9. ნოტარიუსის მოქმედება გამომდინარეობს პატიოსნებისა და მორალური სისუფთავის პრინციპებიდან. ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას ნებისმიერ არაკანონიერ და/ან არაეთიკურ შეთანხმებაზე, თვალთმაქცობასა და სიცრუეზე.

2.10. ნოტარიუსი უნდა იყოს წინდახედული, ყურადღებიანი, გამოირჩეოდეს სიზუსტითა და სკრუპულოზურობით.

2.11. ყოველგვარი ეჭვი სანოტარო მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს სანოტარო მოქმედების შესრულებამდე. ნოტარიუსი თავს იკავებს სანოტარო მოქმედების შესრულებისაგან, თუ ეჭვი ეპარება საკუთარი ქმედების მართებულობაში.

2.12. ნოტარიუსი სანოტარო აქტის შედგენამდე სანოტარო მოქმედების მონაწილე მხარეს აძლევს მიუკერძოებელ რჩევას მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, აწვდის ობიექტურ ინფორმაციას იმ არჩევანის შესახებ, რომელსაც კანონმდებლობა მათ ანიჭებთ. სანოტარო აქტის შედგენამდე ნოტარიუსი შეამოწმებს ფაქტებსა და აუცილებელ მოთხოვნებს, რათა მის მიერ დამოწმებული დოკუმენტი იყოს უდავო და ჰქონდეს სრული იურიდიული ძალა.

2.13. დაუშვებელია სანოტარო მოქმედების მონაწილე პირის დისკრიმინაცია რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული, წოდებრივ-თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური ან სხვა ნიშნით, აგრეთვე, ნოტარიუსის მხრიდან სხვა ისეთ გარემოებაზე მითითება, რაც ხელყოფს პირის პატივსა და ღირსებას.

2.14. ნოტარიუსი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში, იუსტიციის სამინისტროში სასურველი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის შენარჩუნებას.

2.15. ნოტარიუსი ვალდებულია, თავი შეიკავოს თავისი პროფესიული თვისებების რეკლამირებისაგან, აგრეთვე, სხვა მეთოდებით ცდილობდეს საკუთარი თავის საჯაროდ თვითწარმოჩენას, სადაც ეს დაუშვებელია.

თავი III
ნოტარიუსის დამოკიდებულება სახელმწიფო ორგანოებთან

3.1. ნოტარიუსი უნდა იჩენდეს პატივისცემას იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მიმართ, მათთან პროფესიულ ურთიერთობებში იყოს პუნქტუალური, თავაზიანი და თავშეკავებული.

3.2. ამასთან, ნოტარიუსი ინარჩუნებს დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი შტოს წარმომადგენლებთან ურთიერთობებში და მოქმედებს მკაცრად კანონმდებლობის ფარგლებში.

3.3. ნოტარიუსი თანამშრომლობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის გამოვლენასა და აღკვეთაზე უფლებამოსილ ორგანოებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და სასამართლოსთან, მის ხელთ არსებული საშუალებებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელს უწყობს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნოტარიუსი ვალდებულია მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში კი, პირადად მიიღოს მონაწილეობა საპროცესო მოქმედებებში. ამასთან, ნოტარიუსი ზრუნავს პროფესიულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე.

3.4. ნოტარიუსთა პალატის ორგანოებში არჩეული ნოტარიუსი ვალდებულია იზრუნოს სახელმწიფო ორგანოებისაგან პალატის წევრების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების განმტკიცებაზე. შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, იგი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ყველა შესაძლებელი ზომა ადმინისტრაციული ორგანოების ან ცალკეული თანამდებობის პირების მხრიდან ნოტარიუსის პროფესიულ საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევის ფაქტების აღსაკვეთად.

თავი IV
ნოტარიუსის დამოკიდებულება ნოტარიუსთა პალატისადმი

4.1. ნოტარიუსი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ნოტარიუსთა პალატის, როგორც ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული კორპორაციული გაერთიანების, მიერ, მასზე დაკისრებული საჯარო-სამართლებრივი მიზნების განხორციელებაში.

4.2. ნოტარიუსთა პალატის წევრი ვალდებულია, დროულად და სრულად გადაიხადოს პალატის წესდებით გათვალისწინებული სავალდებულო საწევრო გადასახდელები, აგრეთვე, შეასრულოს პალატის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.3. ნოტარიუსი მონაწილეობას იღებს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებებში, აგრეთვე, პალატის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავენ ნოტარიუსთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

4.4. ნოტარიუსი, შესაბამისი მოთხოვნით, წერილობით პასუხობს ნოტარიუსთა პალატის მიერ დასმულ შეკითხვებს, აგრეთვე, წარუდგენს მას სანოტარო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გარდა პროფესიული საიდუმლოების შემცველი ცალკეული ცნობებისა.

4.5. ნოტარიუსი ზრუნავს ნოტარიუსთა პალატის მიერ მასთან სწავლებისათვის მიმაგრებული სტაჟიორის ცოდნის ამაღლებაზე, უზიარებს მას პროფესიულ გამოცდილებას, რაც სამომავლოდ ნოტარიატის მაღალკვალიფიციური კადრებით შევსების გარანტიაა.

4.6. ნოტარიუსს აქვს ნოტარიატის ორგანოებში (მათ შორის, საერთაშორისო ორგანოებში) არჩევითი თანამდებობის დაკავებისა და შესაბამისი საქმიანობის უფლება. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის აპარატში არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომლის ოჯახის წევრი და/ან ახლო ნათესავი არჩეულია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მმართველ ორგანოში (გამგეობაში).

4.7. ნოტარიუსთა პალატის გამგეობაში ან წესდებით გათვალისწინებულ სხვა ორგანოში არჩეული ნოტარიუსი ვალდებულია ჯეროვნად და სრული პასუხისმგებლობით მოეკიდოს საქართველოს კანონმდებლობით და პალატის მართვის უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებებით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, იზრუნოს პალატის წევრების კანონიერი ინტერესების დაცვაზე, წინასაარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და მიცემული დაპირებების განუხრელად შესრულების უზრუნველყოფაზე.

4.8. ნოტარიატის ორგანოებში არჩეული ნოტარიუსი ანგარიშვალდებულია კოლეგების წინაშე. ნოტარიუსთა პალატის გამგეობა ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში, პასუხი გასცეს ნოტარიუსის მიერ გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს და მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია.

4.9. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წევრები ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ და ზედამხედველობა გაუწიონ გამგეობის აპარატის თანამშრომლებს, რათა ამ უკანასკნელთა მხრიდან დაცული იყოს პალატის წევრებთან ურთიერთობის მორალურ-ეთიკური ნორმები. ნოტარიუსი პატივს უნდა სცემდეს ნოტარიუსთა პალატის აპარატის პერსონალს.

თავი V
ნოტარიუსის ურთიერთობა კოლეგებთან

5.1. ნოტარიატის კორპორაციული ბუნება მოითხოვს კოლეგა-ნოტარიუსებს შორის ურთიერთპატივისცემის, ნდობისა და ნაყოფიერი პროფესიული თანამშრომლობის საწყისებზე აგებული ურთიერთობების არსებობას.

5.2. ნოტარიუსი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგებს, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნების ნოტარიუსთა კორპუსის წარმომადგენლებს.

5.3. ნოტარიუსი ვალდებულია:

ა) ნებისმიერ ვითარებაში დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი;

ბ) დაამყაროს თავის კოლეგებთან ურთიერთობა პატიოსნებისა და ურთიერთპატივისცემის საწყისებზე, ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს ტაქტი, თავაზიანობა და კეთილმოსურნეობა მათთან დამოკიდებულებაში;

გ) მოახდინოს კოლეგების ინფორმირება მისთვის ცნობილ ისეთ საკითხებზე, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ მათ საერთო საქმიანობაზე, აგრეთვე, სხვა პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია მათ პროფესიულ სოლიდარობასთან;

დ) არ დაიზაროს კონსულტაციის გაწევა თავისი კოლეგისადმი, ოპერატიული და უტყუარი პასუხი გასცეს თავის კოლეგას სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებით, დაუზარებლად გაუზიაროს მას პროფესიული გამოცდილება;

ე) მიიღოს ყველა საჭირო ზომა სანოტარო ბიუროში მყოფი თანამშრომლების მიმართ, რომ მათი მხრიდან არ მოხდეს კანონმდებლობისა და მორალურ-ეთიკური პრინციპების დარღვევა როგორც მოქალაქეების, ისევე კოლეგებთან ურთიერთობაში;

ვ) არ დაამციროს თავისი კოლეგის პროფესიული ღირსება და ავტორიტეტი;

ზ) არ დაუშვას კოლეგის შესახებ მონაჭორის, ან მისი პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელება.

5.4. დაუშვებელია კოლეგებს შორის არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად ჩაითვლება:

ა) კოლეგისათვის სანოტარო მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ცნობების და/ან ინფორმაციის მიუწოდებლობა, რაც ნოტარიუსის საქმიანობის შეფერხებას იწვევს.

ბ) სანოტარო მომსახურებისას საზღაურის კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთის განზრახ შემცირება კლიენტების მოზიდვის მიზნით;

გ) საკუთარი ძალაუფლების გამოყენებით კლიენტის იძულება ისარგებლოს მისი ან მასთან გარიგებაში მყოფი მესამე პირის მომსახურებით.

5.5. ნოტარიუსმა თავი უნდა შეიკავოს კოლეგის პროფესიონალიზმისადმი ან მისი პიროვნული თვისებებისადმი საკუთარი უარყოფითი აზრის ან შეხედულების საჯაროდ გამოხატვისაგან.

5.6. ნოტარიუსი, ასრულებს რა სანოტარო მოქმედებას, რომელიც დაწყებული გახლდათ სხვა ნოტარიუსის მიერ, ან იღებს სანოტარო აქტს, რომლის პროექტიც შედგენილია სხვა ნოტარიუსის მიერ, სანოტარო მოქმედების შესრულებამდე უნდა დარწმუნდეს, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა მხრიდან კოლეგისათვის სრულად არის ანაზღაურებული სანოტარო აქტის პროექტის შედგენისათვის საზღაური და სხვა ხარჯები.

5.7. ნოტარიუსმა კოლეგებთან ურთიერთობისას თავი უნდა აარიდოს უთანხმოებას. კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობისას ეცადოს ყველა საკითხი გადაჭრას კოლეგიური მოლაპარაკებების გზით.

5.8. ნოტარიუსი ზედამხედველობას უწევს თავისი ბიუროს თანამშრომლებს, რათა ამ უკანასკნელთა მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს უპატივცემულობას ან სხვა სახის არაეთიკურ გამოვლინებას სხვა ნოტარიუსებთან მიმართებაში.

5.9. თუ ნოტარიუსი მიიჩნევს, რომ მისმა კოლეგამ დაუშვა არაეთიკური საქციელი, აღნიშნულის შესახებ იგი, უპირველეს ყოვლისა, აცნობებს თავად ამ ნოტარიუსს და მოუწოდებს მას კოლეგიური ურთიერთობების დაცვისაკენ.

5.10. ნოტარიუსი უნდა მოერიდოს კოლეგასთან დავის გადაწყვეტას სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით. სასურველია, ნოტარიუსმა მსგავსი დავის არსებობის შესახებ აცნობოს ნოტარიუსთა პალატას, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს კანონმდებლობის ფარგლებში უთანხმოების გადაწყვეტის შესაძლებლობა.

თავი VI
ნოტარიუსის ურთიერთობა კლიენტთან

6.1. კლიენტთან ურთიერთობისას ნოტარიუსი უნდა იყოს ყურადღებიანი, გულისხმიერი და კორექტული, ეცადოს ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს წონასწორობა და პირადი ღირსება.

6.2. ნოტარიუსი უზრუნველყოფს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, რომლებიც მას მიმართავენ სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად.

6.3. ნოტარიუსი თავისი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას მოქმედებს კლიენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე და აყენებს ამ ინტერესს თავისი და/ან თავისი კოლეგების სუბიექტურ ინტერესებზე მაღლა.

6.4. ნოტარიუსი ვალდებულია კლიენტს აღმოუჩინოს იურიდიული დახმარება, განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები, გააფრთხილოს იმ სამართლებრივ შედეგებზე, რომელიც მოჰყვება სანოტარო მოქმედების შესრულებას, იზრუნოს, რათა პირის კანონმდებლობაში გაუთვითცნობიერებლობა არ იქნას გამოყენებული მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

6.5. ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო მოქმედებათა შესრულებაში მონაწილე მხარეს სწორად და ობიექტურად განუმარტოს კანონი. ნოტარიუსი უნდა აცნობიერებდეს, რომ კლიენტისათვის მიწოდებულ კონსულტაციას არავითარი ფასი არ გააჩნია, თუ ეს უკანასკნელი ისახავს სხვა მიზანს, გარდა კლიენტის კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისა.

6.6. ნოტარიუსი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია მისი მონაწილეობით შესრულებულ სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის კანონით დადგენილი საზღაურის ოდენობისა და გადახდის წესის შესახებ.

6.7. ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას არ უნდა მოექცეს მესამე პირის, პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენის ქვეშ, არამედ მან მკაცრად უნდა დაიცვას კანონმდებლობა და იმ პირთა ინტერესები, რომლებმაც მიმართეს ნოტარიუსს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის.

6.8. განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები ნოტარიუსსა და კლიენტს შორის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის პირადობა, მისი ღირსება და პატიოსნება ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

6.9. ნოტარიუსი ვალდებულია არ დაუშვას:

ა) არასაპატიო მიზეზით სანოტარო ბიუროს დადგენილი სამუშაო გრაფიკის დარღვევა;

ბ) უსაფუძვლო უარის თქმა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, მათ შორის - გასვლითი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე მაშინ, როდესაც პირი ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს სანოტარო ბიუროში მისვლას;

გ) სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული ფუნქციების (მათ შორის ტექნიკური სამუშაოს) გადაცემა გარეშე პირთათვის, გარდა სანოტარო ბიუროს თანამშრომლებისა.

დ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელება არაფხიზელ მდგომარეობაში.

თავი VII
ნოტარიუსის არა სანოტარო საქმიანობა

7.1. ნოტარიუსი, როგორც პირი, რომელიც განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მხრიდან, ვალდებულია არასამუშაო დროს:

ა) დაიცვას მორალისა და ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები;

ბ) არ დაუშვას ისეთი მოქმედება და თავი შეიკავოს ისეთი საქმიანობის განხორციელებისაგან, რომელიც ეჭვს შეიტანს მის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაში ანდა ჩრდილს მიაყენებს ნოტარიატის პრესტიჟს.

7.2. ნოტარიუსი თავს იკავებს პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობისაგან, რაც საფრთხეს უქმნის ნოტარიუსის, როგორც ნეიტრალური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პროფესიის სტატუსს. ნოტარიუსს უფლება აქვს იყოს საზოგადოებრივი და რელიგიური გაერთიანების წევრი.

7.3. ნოტარიუსი ვალდებულია თავი შეიკავოს თავისი მიკერძოებული პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ გამომჟღავნებისაგან. აკრძალულია მისი მხრიდან ნებისმიერი სახის პოლიტიკური პროპაგანდა, როგორც სანოტარო ბიუროში, ისე მის გარეთ.

თავი VIII
ნოტარიუსის წახალისება

8.1. ნოტარიუსი, რომელიც მაღალ დონეზე ასრულებს მასზე დაკისრებულ პროფესიულ ვალდებულებებს, გამოირჩევა მრავალწლიანი უმწიკვლო პროფესიული მოღვაწეობით, შეიძლება წახალისდეს ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებით.

8.2. ნოტარიუსთა წახალისების სახეებია:

– მადლობის გამოცხადება;

– ნოტარიუსისათვის სამახსოვრო საჩუქრის გადაცემა;

– ნოტარიუსისათვის სიგელის გადაცემა;

– ნოტარიუსისათვის "დამსახურებული ნოტარიუსის" წოდების მინიჭება;

თავი IX
კოდექსის ამოქმედება

9.1. ეს კოდექსი ამოქმედდება საქართველოს ნოტარიუსთა მიერ ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებაზე მის მიღებისთანავე.